ჯონ აპდაიკი

მამაჩემის ცრემლები

მამაჩემის ტირილს ცხოვრებაში ერთადერთხელ შევესწარი. ეს იყო ელტონის რკინიგზის სადგურში, იმ დროს, როდესაც იქიდან მატარებლები ჯერ კიდევ დადიოდა. ფილადელფიაში მივემგზავრებოდი. ერთი საათის სავალზე იყო და 30-ე ქუჩის ტერმინალთან უნდა ჩამოვსულიყავი, შემდეგ, მარკეტ-სტრიტის სადგურში, კიდევ ერთ მატარებელზე დავჯდებოდი და ბოსტონში, კოლეჯში დავბრუნდებოდი. მიხაროდა წასვლა, რადგან, ჩემს სახლსა და მშობლებს უკვე რაღაცნაირად არარეალურად აღვიქვამდი, ჰარვარდი კი, თავისი საინტერესო ლექციებითა და მომავლის იმედით, ასევე ჩემი პირველი მეგობარი გოგონათი, რომელიც მეორე კურსზე გავიცანი, ყოველი ახალი სემესტრის დაწყებისას ჩემთვის სულ უფრო და უფრო ახლობელი ხდებოდა.

გაოცებული და შემცბარი ვუყურებდი მამაჩემს, როდესაც მის თვალებზე მომდგარი ცრემლები დავინახე. ეს იმ მომენტში მოხდა, როდესაც, დამშვიდობებისას, ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

თავიდან ვიფიქრე, რომ ეს სწორედ ხელის ჩამორთმევის ბრალი იყო: თვრამეტი წლის განმავლობაში, ასეთი სოციალური ჟესტის, მამაკაცური კონტაქტის საშუალება ხომ არც ერთხელ არ გვქონია. მე სულაც არ ვიყავი დაბალი, მაგრამ მამა ჩემზე უფრო მაღალი იყო. როდესაც მისი თბილი ხელი ჩემს ხელში ვიგრძენი და ისიც დავინახე, თუ როგორ შეეცადა გაეღიმა, წამიერად გამიელვა თავში, რომ ჩემგან განსხვავებით, ის ამ სიტუაციას სულ სხვა რაკურსით უყურებდა: მე სადღაც მივემგზავრებოდი, ის მაცილებდა. ჩემი საკუთარი გაგებით, მე ვიზრდებოდი, მის თვალში კი პირიქით, ვპატარავდებოდი. მანამდე, არც ერთხელ არ გამიაზრებია ასე ნათლად, რომ მამას ძალიან ვუყვარდი. ეს ის თემაა, რომლის შესახებ ხმამაღლა საუბარი საჭირო არასოდეს გამხდარა. ახლა, ის ამას თავისი ცრემლებით ამბობდა. ადრე, იმ წლებში, რომლებსაც ერთად ვატარებდით, მისგან ნათლად მოდიოდა შეგრძნება, რომ ცხოვრება ერთი პატარა მარცვალია. ჰოდა, მე და მამა, გარკვეული დროის განმავლობაში, ამ მარცვალში ერთად ვიყავით.

მისი ადგილი სწორედ აქ იყო, ელტონის ძველ რკინიგზის სადგურში, რომელსაც მგზავრობისა და პატარა ქალაქის ცხოვრების სურნელი ასდიოდა. სწორედ აქ ვიყიდე

ჩემი პირველი სიგარეტი და დახლის მიღმა მდგომ მამაკაცს ეს სრულებითაც არ გაუპროტესტებია, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ თხუთმეტი წლის ბავშვს ვგავდი. ხურდასთან ერთად მან ასანთის ერთი კოლოფი დამიბრუნა, რომელზეც ლუდ „სანშაინის“ რეკლამა ეხატა. ეს ლუდი აქვე, ელტონში იხარშებოდა. ეს საშუალო ზომის ინდუსტრიული ქალაქი იყო, რომელიც დეპრესიიდან მას შემდეგ ვერ გამოსულიყო, რაც ქსოვილების ფაბრიკებმა სამხრეთით დაიწყეს გადასვლა. თუმცა, თავისი მოწესრიგებული ქუჩებითა და გემრიელი სამზარეულოთი, ის მაინც ახერხებდა თავისი მოქალაქეებისთვის ერთგვარი სიამოვნების მინიჭებას და მათ კეთილდღეობის ილუზიას უქმნიდა. ჩემს პირველ სიგარეტს სადგურიდან ერთი კვარტლის მოშორებით მოვუკიდე და, მიუხედავად იმისა, რომ სრულებით არ ვიცოდი, როგორ უნდა შემესუნთქა, ეს რაღაცნაირად თავისთავად მოხდა, მოულოდნელად, თითქოს მიწა ამოძრავდა და მთელი სამყარო უფრო მსუბუქი გახდა. იმ დღის შემდეგ, ახალი, უფრო გლამურული ხასიათის მეგობრები შევიძინე – ისეთები, რომლებიც უკვე ეწეოდნენ.

დედაჩემსაც კი, რომელსაც უფრო სახლში ჯდომა უყვარდა, ვიდრე ქუჩაში სეირნობა, ერთგვარი კავშირი ჰქონდა შენარჩუნებული სადგურთან, რადგან ეს ერთადერთი ადგილი იყო მთელ ქალაქში, სადაც მისი საყვარელი ჟურნალების, „ჰარპერისა“ და „ნიუ-იორკერის“ ყიდვა იყო შესაძლებელი. ისევე, როგორც ფრენკლინ-სტრიტის ბოლოში მდებარე, კარნეგის მიერ დაფინანსებული სახელმწიფო ბიბლიოთეკა, ეს სადგურიც იმ სახის შენობა იყო, რომელშიც თავს უსაფრთხოდ გრძნობდი. ორივე მათგანი სამარადისოდ აშენდა. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც გვეგონა, რომ მატარებლები და წიგნები მუდამ ჩვენთან ერთად იქნებოდნენ. სადგური კვადრატული ფორმის, გრანიტით ნაშენი ტაძარი იყო, იატაკი მარმარილოსი ჰქონდა, მაღალი, მოოქრული ჭერი კი ჭვარტლით იყო დაფარული. მოსაცდელში, სკამებს ისეთი მაღალი საზურგეები ჰქონდა, რომ თავი ეკლესიაში გეგონებოდა. რადიატორები ხმაურობდა და კრემისფრად შეღებილი კედლები უცნაურ, ჩურჩულისმაგვარ ხმებს გამოსცემდა, თითქოს, დღედაღამ ადამიანების საუბარს ისრუტავს და შემდეგ უკან აბრუნებსო. საგაზეთო ჯიხურთან და პატარა კაფეში, როგორც წესი, უამრავი ხალხი ირეოდა. მოსაცდელი ოთახიც მუდამ განსაკუთრებით თბილი იყო, რაც მე და მამამ საკუთარ თავებზე გამოვცადეთ არაერთ ცივ ზამთარს. ყოველ დილით, ჩვენ ერთსა და იმავე სკოლაში დავდიოდით, ის – როგორც მაწავლებელი, მე კი როგორც მოსწავლე. ჩვენი მანქანები, რომლებსაც, როგორც წესი, მეორადებში ვყიდულობდით, ან არ იქოქებოდა, ან კიდევ თოვლში ჩერდებოდა. ასეთ დროს, ჩვენ სწორედ იმ ადგილს ვაფარებდით თავს, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში ღია უნდა ყოფილიყო. ეს იყო რკინიგზის სადგური.

მაშინ, ბაქანზე რომ ვიდექით და ნახევარი მილის მოშორებით ჩემი მატარებლის ხმა გაისმა, ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ათიოდე წლის შემდეგ, ელტონიდან ფილადელფიაში სამგზავრო რეისი აღარ ივლიდა, თავად სადგური- ისევე, როგორც აღმოსავლეთ სანაპიროს სხვა სადგურები, საერთოდ გაუქმდებოდა და მისი კარები აიჭედებოდა. ახლა ეს ძველი, ლამაზი შენობა ისე განმარტოვებით იდგა მოასფალტებულ ავტოსადგომზე, როგორც დიდი მავზოლიუმი. მისი სიცოცხლით აღსავსე დარბაზების ხმაური სამარისებულმა სიჩუმემ შეცვალა. დარჩენილი ერთი საუკუნის განმავლობაში, ამ ქალაქში, სადაც პროგრესი გაჩერებული იყო, ეს რკინიგზის სადგური თითქოს შერცხვენილი იდგა და ელოდა, როდის გაასწორებდნენ მიწასთან.

მაგრამ, მამაჩემმა სხვა რაღაცა იცოდა წინასწარ და ეს მის თვალებში დავინახე. მან იცოდა, რომ დრო ყველას ჩაგვყლაპავდა, რომ ის პატარა ბიჭი, რომელსაც ჩემი სახით იცნობდა, უკვე კვდებოდა (თუ უკვე მკვდარი არ იყო) და ჩვენ საერთო ინტერესები სულ უფრო და უფრო ნაკლები გვექნებოდა. ჩემი ცხოვრება მისი ცხოვრებიდან გამოვიდა. მე მივდიოდი და ყველაფერი თან მიმქონდა. ამასობაში, მატარებელიც ჩამოდგა. მისი ძრავა, ფოლადის დიდი

ბორბლები და გრძელი ლილვები, მისი უზარმაზარი, ცილინდრული ფორმის ორთქლის ქვაბი, პროპორციებით ბევრად აღემატებოდა ადამიანების პატარა სხეულებს. ვაგონიდან ჩემი მშობლები უფრო პატარები ჩანდნენ. ერთმანეთს ხელი დავუქნიეთ და სანამ ელტონის მიდამოები თვალს მოეფარებოდა, „ჯონ მილტონის პოეტურ ნამუშევართა სრული კრებული“ გადავშალე.

დღის ბოლოს, ბოსტონში რომ ჩავედი, არა სამხრეთის სადგურზე, არამედ ერთი გაჩერებით ადრე, ბეკ-ბეიზე ჩამოვედი მატარებლიდან. იქიდან კემბრიჯამდე უფრო ახლო იყო. ბაქანზე ჩემი მეგობარი გოგონა დამხვდა. რა სასიამოვნო შეგრძნებაა, როდესაც, მთელი დღის განმავლობაში მილტონის ლექსების კითხვის შემდეგ („დაბრუნებული სამოთხე“, თავისი ძნელად დასამახსოვრებელი პენტამეტრებით, შედარებით უფერულად გამოიყურება), მატარებლიდან ჩადიხარ და, სხვა სტუდენტების თვალწინ, გოგონა გეხუტება. კაცმა რომ „თქვას, ის უკვე ქალი იყო, ნაცრისფერი ქურთუკი, ჩოგბურთელის სპორტული ფეხსაცმელი ეცვა და თმაც ჩოგბურთელივით, უკან ჰქონდა გადაწეული და შეკრული. ალბათ გაზაფხული იყო. რატომ? იმიტომ, რომ, თუ დები სადგურში დამხვდა, ეს ნიშნავს, რომ არდადეგები მოკლე იყო და სენტ-ლუისში, მშობლებთან ჩასვლა და უკან დაბრუნებას მისთვის აზრი არ ჰქონდა. ამიტომ, ერთი კვირა ბოსტონში მელოდა და რომ ჩავედი, სადგურში დამხვდა. ახალი ინგლისის ხანგრძლივი ზამთრის პირობებში, მას სეზონის

არაშესაფერისად ჩაცმა სჩვეოდა, მე კი სქელი პალტო მეცვა, რომელიც ჩემმა მშობლებმა მიყიდეს, ფილტვების ანთება რომ არ დამმართვოდა.

ჯერ „მწვანე ხაზით“, შემდეგ კი „წითლით“, ჰარვარდის მოედნამდე მივედით. დები, მთელი ამ დროის განმავლობაში, თავის ერთკვირიან თავგადასავალს მიყვებოდა. თურმე, სრულიად მოულოდნელად, თოვლი და ქარიშხალი დაწყებულა (მისი კვალი ახლაც ეტყობოდა ქალაქის ქუჩებს), შემდეგ, ერთ რესტორანში, სადაც ის, ლექციებისგან თავისუფალ დროს, ოფიციანტად მუშაობდა, მთელი დღე სარდაფში ჯდომა და რაღაც რიცხვების დათვლა დაავალეს (ერთადერთი სტუდენტი იყო იქ და იმიტომ), ამასობაში სხვა ოფიციანტებმა კლიენტების მიერ „ჩაიზე“ დატოვებული მთელი ფული ჩაიჯიბეს. დები ისე იყო გამწარებული, რომ თვალებზე ცრემლები ადგებოდა. მეც ვუამბე, რას ვაკეთებდი პენსილვანიაში. გონებიდან უკვე ბევრი რაღაცა მქონდა ამოვარდნილი და მხოლოდ ერთი დეტალი იყო ჩაბეჭდილი სამუდამოდ – მამაჩემის ცრემლები. მთელი დღე მატარებელში ჯანჟღარმა და კითხვამ თვალები ამატკივა. მხოლოდ რამდენჯერმე მოვაცილე მზერა წიგნის ფურცლებს და ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც ნიუ-ლონდონს მივუახლოვდით და ფანჯრიდან ოკეანე გამოჩნდა.

იმ წლებში, როდესაც უკვე დაქორწინებულები ვიყავით, მაგრამ შვილები არ გვყავდა, მე და დები ზაფხულს ხან ჩემ და ხან მის მშობლებთან ვატარებდით. ჩემი სიმამრი ცნობილი უნიტარისტი სასულიერო პირი იყო, რომელიც ვაშინგტონის უნივერსიტეტის კამპუსთან ახლოს აშენებულ ნეო-გოთიკური სტილის შენობაში ქადაგებდა. როგორც კი ივნისი დადგებოდა, ოჯახთან ერთად ის ლინდელის ბულვარზე მდებარე საკმაოდ დიდი და ფართო აგურის სახლიდან ვერმონტში, ოცდაათიან წლებში ხუთი ათას დოლარად ნაყიდ ერთ მიტოვებულ ფერმაში გადადიოდა. ერთ-ერთ ასეთ დღეს, მე და დები იქ მანამ ჩავედით, სანამ მამამისი თავის საეკლესიო საქმეებს დაასრულებდა და ოჯახთან ერთად (მეუღლე და კიდევ ორი ქალიშვილი ჰყავდა) ვერმონტში ჩამოსვლას მოასწრებდა. სუსხიანმა სიმარტოვემ, ჩვეულებრივმა ონკანმა, საიდანაც მხოლოდ ცივი წყალი მოდიოდა, ელექტროგაყვანილობის არარსებობამ, შემაღლებულ ადგილას, ტალახიან გზაზე მდგარმა სახლმა, რომლიდანაც მხოლოდ ერთი შენობა მოჩანდა (იქაც უნიტარისტი სასულირო პირი ცხოვრობდა), კიდევ უფრო გამიძლიერა იმის შეგრძნება, რომ ჩემი პატარძლის წყალობით, გაცილებით უფრო მაღალ და ფართო ტერიტორიაზე გადავინაცვლე.

ცალკე განთავსებული სააბაზანო მოგრძო ფორმისა იყო, გაჯით შელესილი კედლებითა და ხის იატაკით, რომლებზეც, შიგადაშიგ, პატარა ცისარტყელა

გამოისახებოდა ხოლმე, იმის მიხედვით, თუ როგორი კუთხით შემოდიოდა მზის სხივი და როგორ დაეცემოდა იქვე ჩამოკიდებულ სარკეს. როდესაც, დღისით, ნავთქურაზე წყალს გავაცხელებდით, პრიზმატულად შექმნილი ეს პატარა ცისარტყელა კამპანიას გვიწევდა. როდესაც ახლომახლო გაივლიდი ან ქარი დაუბერავდა, იატაკი შეზანზარდებოდა და ეს ცისარტყელაც ცეკვას იწყებდა კედელზე. ვფიქრობ, ეს არიელის მსგავსი ფენომენი უნიტარისტული სიმკაცრის ჯადოსნური გამოხატულება იყო, სიმბოლო იმ ქედმაღალი დამოკიდებულებისა, რომელიც კარგად მოწყობილ, სუფთა და კომფორტულ სახლს სოფელში მდებარე პრიმიტიულ საცხოვრებელში გაგაცვლევინებდა. მე კარგად მესმოდა, რომ ახლადმიღებული განათლებიდან გამომდინარე, ყველაფერი იდეალიზმით, ემერსონისა და ტოროს მსგავსად, ბუნება ისეთად უნდა მიმეღო, როგორიც ის სინამდვილეში არის, დიდ გვერდითა ოთახში, რომელიც შეშის ბუხრიდან საკმაოდ მოშორებით იყო, საქსოვი დაზგის ჩარჩო იდო, რომელიც სახლს ძველი პატრონებისგან შემორჩა. კიდევ იქ იყო მოძველებული ენციკლოპედია და დაძველებული, გაცვეთილი, თუმცა, როგორც ეტყობოდა, ხელში იშვიათად აღებული წიგნების კრებული, რომელსაც ერქვა „მსოფლიო ფილოსოფიის საუკეთესო ნამუშეგრები"“, როდესაც პრეცედენტი დავარღვიე და ერთ-ერთი ტომი თაროდან ჩამოვიღე, ვიგრძენი, რომ ყდას უცნაური, არასასიამოვნო ზედაპირი ჰქონდა. ამ ტომში ემერსონის ესეების კრებული იყო. „თითოეული ბუნებრივი ფაქტი რომელიმე სულიერი ფაქტის სიმბოლოა“, „ყველაფერი ერთი ფარული მასალისგან არის დამზადებული“, „ნებისმიერი გმირი ბოლოს და ბოლოს მოსაწყენი ხდება“ და „ჩვენ სხვადასხვა გრადუსებზე ვდუღვართ” .

დები სწორედ ამ დიდ ოთახს და ვაზის ტოტებით გადაფარებულ გასასვლელს იყენებდა, როდესაც თავის ზეთისა და აკვარელის ნახატებს ხატავდა. მზიან დღეებში, როდესაც წყლის გაცხელება ჩაიდანში ან ნავთქურაზე ზედმეტი თავის ტკივილი იყო, სახლიდან რამდენიმე ნაბიჯში მდებარე ტბაში ვბანაობდით, რომლის კაშხალი დების მამის დაპროექტებული და აშენებული იყო. რამდენჯერმე მოვინდომე ჩემი „ბრაუნი ჰოკით“ დები შიშველი გადამეღო, მაგრამ მისგან მტკიცე უარი მივიღე. ერთხელ მაინც გავიტანე ჩემი და ხიდიდან გადავუღე რამდენიმე სურათი, როდესაც ის ყვირილით გაექანა ყინულივით ცივი წყლისკენ და ფოტოაპარატის ღილაკზე დაჭერის ხმები წარმატებულად ჩაახშო.

მოგვიანებით რეტროსპექტიული გამოანგარიშებით დავადგინეთ, ჩვენი პირველი შვილი სწორედ ვერმონტში ჩაისახა, ეს შეგნებულად არ გვიქნია, მაგრამ არც სინანულის გრძნობა გაგვჩენია. ალბათ, ეს იმ დროს მოხდა, როდესაც დების ოჯახის

წევრები იქ არ იყვნენ. ეს მიკროსკოპურმა არსება ჩემი ცოლის მუცელში ჩაისახა, ისევე დარჩა ჩემს გონებაში, როგორც აბაზანის კედელზე გამოსახული ის ცისარტყელა.

როდესაც მამამისი დაბრუნდა, მივხვდი, რომ ასეთ მამას მე მიჩვეული არ ვიყავი. მამაჩემი, მიუხედავად იმისა, რომ ის საკმარისად ძლიერი ადამიანი იყო, მუდამ გაჭირვებული ადამიანის როლს ასრულებდა. ანუ, ეს იყო პიროვნება რომლის ყოველი დღე, სკოლაში იქნებოდა ეს თუ სხვაგან სავსე იყო მძიმე შრომითა და დაბრკოლებებით: ხან მანქანა არ იქოქებოდა და ხან მოსწავლეები არ სწავლობდნენ სათანადოდ. მას ხალხი სჭირდებოდა, ბევრი ხალხი, ვინც სტიმულს მისცემდა. რაც შეეხება ბატონ ვიტვორთს, მას ვერმონტი ძალიან უყვარდა, რადგან, სენტ-ლუისთან შედარებით, აქ ხალხი არ იყო. მას შეეძლო გადაბმულად რამდენიმე კვირა გაეტარებინა ამ მთის სახლში, დანარჩენები კი ჩავსხდებოდით ხოლმე მანქანაში და ორკილომეტრიან, ატალახებულ გზას რომ გავივლიდით, უახლოეს დასახლებაში ამოვყოფდით თავს. სურსათის მაღაზია, საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზია და ფოსტა იქ ერთ შენობაში იყო განთავსებული, სამივეს ერთი ადამიანი პატრონობდა და ხეტყის ადგილობრივ სახერხსაც იგივე ადამიანი განაგებდა. სახლში ახალი ამბებითა და წინა დღის გაზეთებით ვბრუნდებოდით. დების მამა ოდნავ გვერდით გადაწეული თავითა და უცნაური ღიმილით უსმენდა ჩვენს ემოციურ საუბარს და ყველანი, რა თქმა უნდა, მშვენივრად ვხვდებოდით, რომ საერთოდ არ გვისმენდა. ის საკუთარი საქმეებით იყო დაკავებული: ქვის კედლებს აშენებდა და თავისი კაშხლის საინჟინრო გეგმას ხვეწდა, შემდეგ ცოტას წაუძინებდა და ჩვენ ყველანი ჩუმად უნდა ვყოფილიყავით.

ის სიმპათიური მამაკაცი იყო და ჯაგარივით თმა ჰქონდა, რომლის სიხშირეს ჭაღარამ ვერაფერი დააკლო. მიუხედავად ამისა, ორგანიზმი მას ასეთი ჯანმრთელი სულაც არ ჰქონდა. ბავშვობაში, როდესაც მეინის შტატში ცხოვრობდა, რევმატული პოლიართრიტი გადაიტანა, რამაც მის ჯანმრთელობას დაღი დაასვა. სოფლის სიმშვიდე, ტყეების სიჩუმე, ნავთის ლამფა, რომლის ალი სულ პატარა ნიავზეც კი ათამაშდებოდა ხოლმე, ან, როდესაც ოთახიდან ოთახში გადაიტანდი –- ეს იყო მისი ცხოვრება და არა ქალაქის ხმაური და ჩოჩქოლი. იმ თვეებში, როდესაც ვერმონტის მთებში თავის მეუღლესთან, სამ ქალიშვილთან, სიძესთან და მეულლის გაუთხოვარ დასთან ერთად ისვენებდა, ისე განსხვავდებოდა ყველასგან, როგორც პლანეტა, რომელიც მიზიდულობის კანონებს არ ემორჩილება.

კონტაქტში სხვა ადამიანებთან მხოლოდ იმ შემთხვევაში შედიოდა, თუ რაიმე თამაშზე მიდგებოდა საქმე და, სხვათა შორის, ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. შუადღეზე კროკეტით ვერთობოდით მთელი ოჯახით, საღამოობით კი,

ბუხრიდან წამოსული სითბოს თანხლებითა და ნავთის ლამფის შუქზე, ბანქოს ჯერი დგებოდა. ეს განსაკუთრებული ლამფა იყო, რომლის სინათლეს ერთგვარი კონუსისებრი ფორმის ბადე აძლიერებდა. ეს ბადე იმდენად თხელი და სუსტი იყო, რომ, ლამფის მაგიდაზე დადებისას, ძალიან ფრთხილად თუ არ იქნებოდი, მთლიანად ჩამოიფშვნებოდა. ღირსი ვიტვორთი უკიდურესად ფრთხილი იყო ყველაფერში, რასაც ხელით აკეთებდა და მე, ახალგაზრდა ადამიანს, ეს საშინლად მაღიზიანებდა. ასევე მაღიზიანებდა მისი ჟესტები, ჩიბუხს რომ მოამზადებდა, მოუკიდებდა და გააბოლებდა, მაღიზიანებდა მისი შუადღის ძილი და რეჟიმი, რომელსაც მკაცრად იცავდა, მისი გაწონასწორებული, ცისფერი თვალები, რომლებიც დების გადაეცა მემკვიდრეობით, მისი მშვიდი უნიტარისტობა. რატომ მოხდა ასე, არ ვიცი, მაგრამ პენსილვანიის იმ ნაწილში, სადაც მე ვცხოვრობდი, ცისფერი თვალები იმდენად იშვიათი იყო, რომ უცნაურობად აღიქმებოდა. შუილქილის ველზე ჩამოსულ პირველ მოსახლეებს, რომლებიც, ძირითადად, უელსიდან და გერმანიიდან იყვნენ, წაბლისფერი თვალები ჰქონდათ.

უნიტარიზმს რაც შეეხება, ის ერთგვარად ბუნდოვნად, გაურკვევლად, მიკიბულ-მოკიბულად მეჩვენებოდა ეს იყო ძალიან უფერული გამოხატულება ქრისტიანული რელიგიისა, რომელიც მე მის ლუთერანულ ფორმაში ოდესმე შემხვედრია – საოცრად ჭრელი მოზაიკა ინკარნაციის და მოგვებისა, შობისა და სანტა კლაუსისა, ადამისა და ევასი, სიშიშვლისა, კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხისა, გველისა და დაცემისა, ღალატისა და ჯვარცმისა, „რატომ მიმატოვე?“, პილატე, რომელიც ხელებს იბანს და აღდგომა მესამე დღეს, სიკვდილის შემდგომი სერობა ზედა ოთახში და ურწმუნო თომა, ანგელოზები, რომლებიც იერუსალიმის უფრო ბნელ მხარეებს ეძებენ, მოსწავლეები და პავლე, რომელიც დამასკოსკენ მიმავალ გზაზე ვირიდან ჩამოაგდეს, მოციქულები, რომლებიც სხვადასხვა ენაზე საუბრობენ. ელტონისა და მისი შემოგარენის ფლეგმატურ მორწმუნეებს მკაცრად ჰქონდათ დადგენილი საზღვრები, რომელთა გადაკვეთა არ შეიძლებოდა. საჯარო სკოლაში რომ დავდიოდი, დღე ყოველთვის ბიბლიის კითხვითა და ლოცვით იწყებოდა; ჩემი მასწავლებლები, ბანკირები, ბიზნესმენები და ფოსტალიონები... ყველას ტრადიციული ქრისტიანობის მიმდევრად მოჰქონდა თავი და რაც კარგი იყო მათთვის, ვთვლიდი, რომ უნიტარისტებისთვისაც კარგი უნდა ყოფილიყო. ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ ცხოვრებაში, რელიგიური რწმენის გარეშე, სიხარული შეუძლებელია არსებობდეს და თუ ეს რწმენა ინტელექტუალურ მსხვერპლს მოითხოვს, დაე ასე იყოს. მე საკმარისად მქონდა წაკითხული კირკეგაარდის, ბართისა, უნამუნოს ნაწარმოებები და კარგად ვიცოდი, რას ნიშნავდა რწმენის სიძლიერე, ღირსი ვიტვორთს კი ასეთი სიძლიერისა არაფერი ეტყობოდა. ნაცვლად ამისა, მას მხოლოდ ეძინა და ქვის კედლებს აშენებდა.

მის ოთახში, ერთხელ, ტილიჩის წიგნს მოვკარი თვალი. ეს იყო „ყოფნის სიმამაცე“, რამდენადაც მახსოვს. თუმცა, ჩემი' სიმამრის ხელში არც ეს ნაწარმოები დამინახავს არასდროს და არც „მსოფლიო ფილოსოფიის საუკეთესი ნამუშევრები“. ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც მე მასში წმინდა ადამიანი დავინახე. ერთხელ, ის თავის ერთ-ერთ ქალიშვილს ესაუბრებოდა და ჩვეულებრივი ინგლისურიდან ძველ ლიტერატურულზე გადავიდა.

სულიერად უნდა გაგენადგურებინა და ღირსება მთლიანად წართმეოდა, რომ მომკვდარიყო. ალცჰაიმერის დაავადებას მისი ტვინი იმდენად არ დაუზიანებია, რამდენადაც დაბნეულობა გაუღრმავა. როდესაც მისი მეუღლე გარდაიცვალა, პანაშვიდის დროს მომიტრიალდა და კეთილი, თუმცა დაბნეული ღიმილით მითხრა:

– ჯეიმს, ბოლომდე ვერ გავრკვეულვარ, რა ხდება, მაგრამ, იმედი მაქვს, რომ დროთა განმავლობაში ყველაფერი ნათელი გახდება.

ის ვერ ხვდებოდა, რომ მისი ორმოცდახუთი წლის ცოლის პანაშვიდი მიმდინარეობდა.

მეუღლის დაკრძალვის შემდეგ, მისი ჯანმრთელობა ერთბაშად შეირყა. საბოლოოდ, ჩვენ ის მოხუცებულთა თავშესაფარში წავიყვანეთ. მისაღებში რომ ვიდექით, მოულოდნელად შევატყვე, რომ მოუსვენარი გახდა, უცნაურად დაიწყო ხტუნაობა. მივხვდი, რომ მოშარდვა უნდოდა, მაგრამ სითამამე არ მეყო, ტუალეტში წამეყვანა და დავხმარებოდი. ცოტა ხანში, იატაკზე დიდი გუბე დადგა. ეს ის წლები იყო, როდესაც დებისთან ძველებური ურთიერთობა აღარ მქონდა და დაშორებაზე ვფიქრობდით. მე მათ ოჯახში ყველაზე უფროსი სიძე ვიყავი, პირველი მეგობარი, ასე ვთქვათ და,მიუხედავად იმისა, რომ ეს სიამაყის გრძნობას ოდნავ მმატებდა, შესაბამისად ღირსეულად ვერ ვიქცეოდი. უცნაურია, მაგრამ, პირველივე დღეებიდან ვგრძნობდი, რომ სიმამრი ბოლომდე მენდობოდა. ჯერ ერთი, თვლიდა, რომ მის ქალიშვილს კარგი ქმარი შეხვდა და, გარდა ამისა, ქვის კედლების აშენებისას, დახმარების უფლებასაც მაძლევდა. არადა, თავისუფლად შეიძლებოდა ქვა ხელიდან. გამვარდნოდა და მას დაცემოდა ფეხზე. ეს არასდროს მომსვლია, მიუხედავად იმისა, რომ სიმამრი ძალიან მაღიზიანებდა.

კაცმა რომ თქვას, მიყვარდა კიდეც. ის მამაჩემივით გულკეთილი იყო და გარშემომყოფებისგან ძალიან ცოტას ითხოვდა, დაძინების წინ რომ გვეუბნებოდა, ჩუმად იყავითო, ამაში განსაკუთრებული არაფერია და ახლა ამას უკეთ ვხვდები, არადა, იმ დროს საშინლად მაღიზიანებდა. მისი თეოლოგიაც კი (ან თეოლოგიის ნაკლებობა), როგორც ახლა მეჩვენება, საკმაოდ სასიამოვნო განცდა იყო ჩემთვის. ის

იყო სამყარო, რომელშიც ცრურწმენის ბურუსი თითქმის არ არსებობდა. მისი მრევლი იქ, დასავლეთის კარიბჭესთან, უნივერსიტეტელ ეგზისტენციალისტებსაც შეიცავდა და მის ტრანსცენდენტულ, მშვიდ, მუსიკალური ტონალობით გაჟღენთილ ქადაგებებში სწორედ მათი უცნაური ფილოსოფიაც იკითხებოდა. დები ძალიან ცდილობდა, ჩემსა და მამამისს შორის უკეთესი ურთიერთობა ყოფილიყო და ერთხელ მითხრა, უნიტარისტი კი არის, მაგრამ მის თეისტურ ნაწილს განეკუთვნებაო. რამდენადაც მახსოვს, ისეთი უზრდელი არ ვიყავი, სიმამრთან ხშირად მეკამათა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ჩემი ჰარვარდული, ნეო-ორთოდოქსული წარსულის შესახებ ყველაფერი მშვენივრად იცოდა.

ვერმონტში რომ ვცხოვრობდით, მე ძველი გაზეთებისა და სხვა სახის მაკულატურის განადგურება მევალებოდა. ყველაფერს სახლის უკან, პატარა ბორცვზე მდგარ დიდ რკინის კასრშში ვყრიდი და ცეცხლს ვუკიდებდი. იქვე ჩამოდიოდა წყაროც, რომლიდანაც ჩვენი სახლი ცივი წყლით მარაგდებოდა. იქიდან, ოცი მილის მოშორებით, ტყეებით დაფარული ველის ბოლოში, კიდევ ერთი მთის ქედი მოჩანდა. ღირსი ვიტვორთის კურთხევით, გაშლილი ხელებით მიმიღეს უკიდეგანო ხედების, ყინულივით ცივ წყალში ბანაობისა და ახალი ინგლისის მცხოვრებთათვის დამახასიათებელი თავდაჭერილობის სამყაროში. მასში ადვილად ამოიცნობდი კარგ ადამიანს, რომელსაც მეინის შტატის მკვიდრისთვის დამახასიათებელი მარილიც უხვად ჰქონდა, ადვილია ადამიანის შეყვარება, როდესაც ის მხოლოდ შენს მოგონებებშია. ყველაზე რთული ის არის, აქვე, შენ წინ მდგომი პიროვნება გიყვარდეს.

მე და დების პენსილვანიაში სულ სხვა სახის სირთულეები გვქონდა. ჩვენ თავიდანვე ცუდად დავიწყეთ. პირველად, როდესაც ჩემი მშობლების გასაცნობად წავიყვანე, სხვა სადგურში აღმოვჩნდით. ფილადელფიიდან ადგილობრივი მატარებლით წავედით. ერთ-ერთი გაჩერება ელტონიდან შვიდი მილის მოშორებით, ერთ-ერთ პატარა ქალაქში იყო. ისიც შუილქილის ველზე მდებარეობდა და ძალიან ახლოს იყო იმ ფერმასთან, რომელზეც, დედაჩემის დაჟინებული მოთხოვნით, ომის შემდეგ გადავედით საცხოვრებლად. ჩვენ გარდა, მატარებლიდან თითო-ოროლა ადამიანი თუ ჩამოვიდა და პლატფორმაც, რომელიც ხეების მწვანე გვირაბში იყო მოქცეული, მალე დაცარიელდა. არავინ დაგვხვედრია. მე გულწრფელად მინდოდა, მშობლე–ბისთვის საქმე გამეადვილებინა, ისინი კი ელტონის სადგურში წასულან.

ახლა ძალიან მიკვირს, როგორ მოვახერხეთ ერთმანეთთან დაკავშირება იმ დროს, როდესაც მობილური ტელეფონები არ არსებობდა. მაშინ ყველაზე პატარა რკინიგზის სადგურებიც კი ადამიანების მიერ იმართებოდა. ჰოდა, როგორც ჩანს, ადგილობრივმა

ადმინისტრატორმა ტელეგრაფით გადასცა ცნობა ელტონში და იქ ჩემს მშობლებს ყველაფერი შეატყობინეს. ან, შესაძლოა, ჩემებმა იმ პერიოდში გავრცელებული გონებრივი ტელეგრაფი გამოიყენეს, თავად მიხვდნენ ყველაფერს და ელტონიდან თავად მოვიდნენ ჩვენთან. მე ახალგაზრდა სოფლელი ბიჭი ვიყავი, დები კი სენტ-ლუისსა და კებრიჯს უფრო იყო მიჩვეული, ჩემს ტერიტორიაზე კი თავს უცხოდ გრძნობდა. მე ვერაფრით ვახერხებდი, ის ჩვენი პრიმიტიული წეს-ჩვეულებებისგან დამეცვა, ამიტომ, მუდამ ყველაფერს არასწორად აკეთებდა.

ჩვენ ჯერ დაქორწინებულები არ ვიყავით, მაგრამ ჩემი ჭუჭყიანი წინდები და საცვლები თავის სარეცხთან ერთად გარეცხა, შემდეგ კი, ყველაფერი სუფთად ჩაალაგა თავისსავე ჩემოდანში. როდესაც დედაჩემმა, რომელიც სტუმრებისთვის განკუთვნილ საძინებელში საქმიანობდა, ეს შეამჩნია, თავისი ჩვეული ჩუმი სიბრაზე ერთბაშად გადმოანთხია, ოჯახის წევრებს უმოწყალოდ დაატეხა თავს რისხვა, და, როგორც ყოველთვის ხდებოდა ხოლმე, შუბლზე, წარბებს შორის, დიდი ასო V გამოესახა. მისმა მჭახე ხმამ ამ პატარა, ქვიშაქვით ნაშენები ორსართულიანი სახლის ყველა კუთხემდე მიაღწია. ჩემი ბავშვობის სახლი, ქალაქ ოლინგერში იყო და ელტონიდან იქამდე ტრამვაით შეიძლებოდა რამდენიმე წუთში მისვლა. ეს იყო მოგრძო, აგურის სახლი, რომელსაც უკან საკმაოდ მოზრდილი ეზო ჰქონდა, ამიტომ, როდესაც დედაჩემი, მამაჩემის დელიკატური გამონათქვამი რომ მოვიშველიო, „ატმოსფეროს ანაგვიანებდა", გასაქცევი ადგილი ყველას გვქონდა. ამ ახალ სახლში კი, სადაც, მეორე ოთახში რომ ვინმე საწოლში გადაბრუნდებოდა, ისიც კი ისმოდა და ხშირად გარედანაც შემოდიოდა მწერების ხმები, დედაჩემის ფსიქოლოგიურ შეტევას ვერსად დაემალებოდი. მე მასთან გავიზარდე და მის ასეთ ცვალებად ხასიათს მიჩვეული ვიყავი. როგორც წესი, მის გაბრაზებას ისეთი თემები იწვევდა, რომლებისაც მე, პატარა ბიჭს, არაფერი გამეგებოდა. ზოგჯერ, მისი გაბრაზება რამდენიმე დღე გრძელდებოდა და მოულოდნელად, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს სკოლიდან ან მეგობრისგან დავბრუნდებოდი სახლში, დედა ისევ ჩვეულებრივ გუნებაზე მხვდებოდა. მისი ხასიათი ჩემი ბავშვობისა და მოზარდობის ნაწილი იყო, ისევე, როგორც პენსილვანიის ნესტიანი სიცხეები და გვალვები, რომლებსაც ხანში შესული ადამიანების ერთი ხელის მოსმით მოკვლა ან ტრამვაის ხაზების დეფორმირებაც კი შეეძლო.

ჩურჩულით, ისე, რომ არავის გაეგო, ვეცადე ბოდიში მომეხადა დებისთვის ჩემს სახლში არსებული ასეთი კლიმატის გამო. ამასობაში, დედაჩემის ჩხუბი, სადილის დროს რომ ყველას ენა ჩაგვაგდებინა, კვლავ შეუჩერებლად ისმოდა მისი საძინებლიდან. ბოლოს, კარი რომ გაიჯახუნა, მთელი სახლი შეზანზარდა.

– ცუდი არაფერი გიქნია, – ვამშვიდებდი დების, თუმცა, გულის სიღრმეში დარწმუნებული ვიყავი, რომ დედაჩემისთვის შეურაცხყოფის მიყენება უდიდესი ცოდვა იყო.

საბოლოო ჯამში, სწორედ დების ვადანაშაულებდი ამ ყველაფერში. მას ჩემი და საკუთარი საცვლები ერთად არ უნდა ჩაელაგებინა; უნდა სცოდნოდა, რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა.

-ასეთია დედაჩემი და ახლა მას ვეღარ გამოვცვლით, –ვეუბნებოდი.

– ესე იგი, უნდა გამოიღვიძოს და რამენაირად გადაიტანოს ეს ამბავი, – ისე ხმამაღლა მიპასუხა დებიმ, შემეშინდა, დედამ არ გაიგოს-მეთქი.

ძალიან გამიკვირდა, როდესაც აღმოვაჩინე, რომ დები სულაც არ იყო ისე კარგად აწყობილი დედაჩემის ხასიათის ცვალებადობაზე, როგორც მე. არადა, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან დები მასთან არ იზრდებოდა და მსგავს სიტუაციებს მიჩვეული არ იყო.

მისაღებში, ტახტზე რომ ვისხედით, მამაჩემმა, რომელიც მოთმინებით და მშვიდად ასწორებდა მათემატიკის სავარჯიშოებს, თქვა:

- მილდრედი ამით არაფერ განსაკუთრებულს არ გულისხმობს. ეს, უბრალოდ, მისი ქალური უცნაურობებია.

ქალური უცნაურობებით, მის სექსისტურ თაობაში, ყველაფერს გაამართლებდი, ჩემი თაობისთვის კი ეს სულაც არ იყო წონადი არგუმენტი. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, განადგურებული ვიყავი.

იმავე ვიზიტის დროს, ან, შესაძლოა, რამდენიმე ხნის შემდეგ, დებიმ იფიქრა კარგ საქმეს გავაკეთებო და კვირა დილით ეზოში გავიდა, რათა უკანა კარებთან დედაჩემის მიერ დარგული და შემდეგ მიტოვებული ია-ჟუჟუნების გარშემო სარეველები ამოეძირკვა. მისი ლამაზი, შიშველი ფეხები რბილ მიწაში ისე იყო ჩაფლული, როგორც ინგრიდ ბერგმანისა, ფილმში „სტრომბოლი, ღმერთის მიწა“. როდესაც ვუთხარი, კვირაობით ამ ოჯახში არავინ მუშაობს, რადგან ყველა ეკლესიაში მიდის-მეთქი, გაკვირვებულმა შემომხედა,

-რა უცნაურია, – მიპასუხა მან. – მამაჩემი კედელსაც კვირაობით აშენებს და სხვა საქმეებსაც ამ დღეს აკეთებს.

-ის სხვა განშტოების წარმომადგენელია.

– ჯიმ, არ მჯერა, რომ ეს ყველაფერი ცხადში ხდება, მართლა არ მჯერა.

– შშშ,. სახლშია და ყველაფერი ესმის. სულ დალეწა მთელი თეფშები.

– მისი თეფშებია და რაც უნდა ის უქნას.

- კარგი, წამოდი, ეკლესიაში წასასვლელად უნდა მოვემზადოთ.

– საეკლესიოდ არაფერი წამომიღია.

– არაფერი არ გინდა. უბრალოდ, ფეხსაცმელები და ის კაბა ჩაიცვი, მატარებელში რომ გეცვა.

– მეტი საქმე არა მაქვს. საფრთხობელას გინდა ვგავდე? მირჩევნია აქ დავრჩე და სარეველები ამოვძირკვო. შენი ბებია-ბაბუაც ხომ სახლში იქნებიან?

– ბებია რჩება მხოლოდ. ბაბუა მოდის. ყოველდღე რომ ტახტზე ზის და ბიბლიას კითხულობს, ვერ შეამჩნიე?

– არ მეგონა, ამერიკაში ასეთი ადგილები თუ კიდევ იყო დარჩენილი.

– იცი რა...

რაღაც ბანალური პასუხი მქონდა მომზადებული და დებიმ ეს, თავისი ცისფერი თვალებით, წამსვე შენიშნა. ამიტომ, სიტყვა გამაწყვეტინა.

– ახლა ვხვდები, საიდან მოგაქვს ამდენი სისულელე და რატომ ეუხეშები მამაჩემს.

აღშფოთებული ვიყავი და, ამასთანავე, სენსაციური აღმოჩენა გავაკეთე, რომ დედაჩემისგან თავის დაცვა სავსებით შესაძლებელი იყო. იმ დღეს, დები სახლში დარჩა, ბებიასთან ერთად, რომელიც პარკინსონიზმით იყო დაავადებული და ვერ ლაპარაკობდა. უხეშობისთვის სიმამრმა სამაგიეროც გადამიხადა, როდესაც, ჩვენი პირველი შვილისა და მისი პირველი შვილიშვილის ნათლობის დღეს (ეს დების ლუთერანი ბებია-ბაბუის სახლში, მკაცრად დაცული უნიტარისტული წესებით მოხდა), ვიტვორთმა ძველი და უწყინარი ანეკდოტი მოყვა „წმინდა წყლის“ შესახებ. წყალი ჩვენი წყაროდან იყო, წყარო კი სახლის ქვემოთ მოდიოდა და არა ზემოთ, როგორც ვერმონტში. მოკლედ, ამის გამო, დედაჩემი მთელი დღე ჯაჯღანებდა და სულ იმას ამბობდა, რომ ჩვენი პირველი შვილი, კეტრინი, მონათლული არ იყო. იმ დროისთვის, როდესაც უკვე ოთხი შვილი გვყავდა, მე და დები უკვე მასაჩუსეტსში ვცხოვრობდით. სწორედ იქ გავიცანით ერთმანეთი თავის დროზე და, როგორც კომპრომისული ვარიანტი, კონკრეგაციონისტულ ეკლესიას შევუერთდით.

ჩვენ წმინდა წყლით ვართ გარშემორტყმულნი. ნებისმიერი წყალი, ჩვენი ქიმიური დედა, წმინდაა. ბოსტონიდან ნიუ-იორკში რომ მივფრინავდი, ჩვეულ წესს ვუღალატე და თვითმფრინავში არა მარჯვენა, არამედ მარცხენა მხარეს დავჯექი, რისთვისაც განგებამ, ამ დილის საათებში, კონექტიკუტის წყლებზე მზის ანარეკლით დამაჯილდოვა. აქ არა მხოლოდ მდინარეებსა და ყურეს, არამედ პატარა ტბებსაც ვგულისხმობ, რომლებიდანაც თვალისმომჭრელი ვერცხლისფერი სინათლე მოდიოდა. მამაჩემის ცრემლებიც ზუსტად ასე დავინახე, წამიერად, როდესაც მათზე მზის სინათლე აირეკლა. როდესაც ის გარდაიცვალა, მე და დები ერთმანეთს დავშორდით. რატომ? რთულია ამის ახსნა. როგორც ემერსონმა თქვა, ყველა ადამიანს თავისი დუღილის ტემპერატურა აქვს. ჰოდა, ერთ ისეთ ქალს შევხვდი, რომელსაც ზუსტად ჩემნაირი დუღილის ტემპერატურა ჰქონდა. ფოტოები, რომლებიც ვერმონტში გადავიღე, დებიმ თავის კანონიერ საკუთრებად ჩათვალა. მე ასე არ ვთვლიდი, რადგან ისინი ჩემი გადაღებული იყო. დებიმ კი ამაზე მიპასუხა, რომ მისი სხეული მას ეკუთვნის და სხვას არავის. ეს იაფფასიან ფემინისტურ იდეად მომეჩვენა, მაგრამ წინააღმდეგობა არ გამიწევია.

ჩვენი განქორწინების შემდეგ, დედამ მითხრა:

– პირველად რომ მოიყვანე სახლში, იმ დღიდან მოყოლებული, მამაშენი სულ ნერვიულობდა. ამბობდა, რომ შენი ცოლი საკმარისად ქალური არ იყო.

– ჰო, ქალურობა მისი სუსტი წერტილი იყო, – ვუპასუხე მე.

კაცმა რომ თქვას, არავინ იცის, მართლა იყო ეს მამაჩემის სიტყვები, თუ დედამ მოიგონა. გარდაცვლილ ადამიანს ნებისმიერი რამ შეიძლება მიაწერო.

წლების განმავლობაში, დების დაცვის რეფლექსი გამომიმუშავდა, მიუხედავად იმისა, რომ განქორწინების ინიციატორი მე ვიყავი. ყოველთვის უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები, როდესაც, კლასის შეკრებებზე მოსული ხალხი მეუბნება, შენი მეორე ცოლი პირველს გვირჩევნიაო, სილვია მართლაც კარგად შეეწყო ჩემი კლასელების კამპანიას, დები კი მათთან ასეთი გახსნილი არ იყო. მაგრამ, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ დების აზრით, ჩემი კლასი მხოლოდ ჩემი წარსულის ნაწილი იყო – ის, რაც მე უკან მოვიტოვე და მხოლოდ ხუთ წელიწადში ერთხელ ვუბრუნდებოდი ცოტა ხნით. სილვია კი, რომელიც ხანდაზმულ ასაკში უკეთ მიცნობდა, თვლიდა, რომ მე პენსილვანია არც არასოდეს დამიტოვებია და, რაც არ უნდა იშვიათად ვბრუნდებოდე იქ, ის მაინც რჩება იმ ერთადერთ ადგილად, სადაც საკუთარი ნამდვილი „მე“ მეგულება. კლასის სულ ბოლო, ორმოცდამეთხუთმეტე შეკრება დების ნამდვილად დათრგუნავდა – ეს სამოცდაათს მიღწეული ხალხი, რომელთა დიდი ნაწილი

დღემდე საკუთარი დაბადების ადგილიდან რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით, იმავე ორბინიან სახლებში ცხოვრობს. ზოგიერთი მათგანი ინვალიდის ეტლით მოვიდა, ზოგი კი იმდენად იყო დაუძლურებული, რომ თავად მანქანის მართვა აღარ შეეძლო და საჭესთან საშუალო ასაკს მიღწეული შვილები დასვა. გარდაცვლილი კლასელების სიაც საგრძნობლად გაიზარდა. კლასის ლამაზმანები ან ძალიან მსუქან ან ძალიან გამხდარ ბებრებად იქცნენ, სპორტსმენები და არასპორტული გარეგნობის ბიჭებიც ზუსტად ერთნაირები გამხდარან და ყველანი ჯოხებითა და ყავარჯნებით დადიან. ყველა პენსიაზეა გასული და ისევ თავის ადგილს იკავებს დედამიწაზე, არადა, მათ ასაკში, მათი მშობლები უკვე დიდი ხნის გარდაცვლილები იყვნენ.

მაგრამ, ჩვენ საკუთარ თავებს ასე არ ვუყურებთ და სულაც არ მიგვაჩნია, რომ ბებრები ვართ, ჩვენ ისევ იმ საბავშვო ბაღის ბავშვებს ვხედავთ, იმავე მრგვალ და სიცოცხლით სავსე სახეებს, იმავე ყურებსა და დიდ თვალებს. ჩვენ ისევ ის ჟრიამული ჩაგვესმის, სკოლაში, გაკვეთილებს შორის რომ ისმოდა დერეფანში, ისევ იმ საქსოფონებისა და საყვირების მოგუდული ბგერები, ადგილობრივი სვინგის ბენდები გამოსაშვებ საღამოებზე რომ უკრავდნენ. ჩვენ ერთმანეთში ვხედავთ იმ ქალაქის გამძლეობასა და უბრალოებას, რომელიც, როგორც ამბობენ, დიდმა დეპრესიამაც ვერ შეცვალა. შემდეგ, მსოფლიო ომიც მოვიდა, რომლიც ყუმბარებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, თუმცა პროდუქტების ნორმირება, სათამაშო ტანკები და სასწავლო ჰაერსაწინააღმდეგო განგაშები ჩვენც სხვებივით გამოვიარეთ. ძველი ქიშპობები უკვე დავიწყებულ იქნა; ძველი სასიყვარულო რომანები წამით ისევ ამოიფრქვევა და შემდეგ, საერთო სითბოში გაერევა ხოლმე. როდესაც კლასის ჯგუფხელი, ჯოანა ედისონი, მიკროფონს იღებს ხელში და ვიქტორინას ატარებს (მასწავლებლების ზედმეტსახელები, დიდი ხნის წინ გამქრალი სასადილოებისა და სანაყინეების სახელები, დაბალ და მაღალ კლასებში დადგმული სპექტაკლების სახელწოდებები, ვინ ჩააბარა ყველაზე მეტი ჯართი მესამე კლასში), პასუხები ყველა მხრიდან ისმის. ვერანაირი შეკითხვა ვერ ჩაგვჭრის: ჩვენ იქ ვართ, ერთად, მეუღლეებითურთ და სილვიაც დიდი ენთუზიაზმით უკრავს ტაშს უაზრო ცოდნის ამ გამოვლინებებს.

ჩემთვის ისინი არა მხოლოდ კლასელები, არამედ მამის მოწაფეებიც იყვნენ. ის ყველას მშვენივრად ახსოვდა. ჯოან ედისონის ვიქტორინაში რამდენჯერმე მისი სახელიც ჩამოიძახეს სწორად – მისტერ უერლი, კუკი ბენი, რომელიც ჩვენზე ერთი წლით უფროსი იყო, მაგრამ, ცუდი ნიშნების გამო, ერთი წლით ქვემოთ, ჩვენს კლასში აღმოჩნდა, უკვე ალცჰაიმერით იყო დაავადებული. ბოლო შეკრების დროს, ის რამდენჯერმე მოვიდა ჩემთან და ჩახლეჩილი, თუმცა მგზნებარე ხმით მეკითხებოდა:

– მამაშენი, ჯიმბო, ისევ ჩვენთან ერთად არის?

მას ბევრი რამე ავიწყდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს მშვენივრად ახსოვდა, რომ „ისევ ცოცხალია?“ ან „მოკვდა?“ უტაქტოდ ჟღერდა.

– არა, კუკი, – ვპასუხობდი მე ყოველ ჯერზე, – 1972 წელს გარდაიცვალა, გულის შეტევით.

უცნაური იყო, მაგრამ ხელჯოხიანი, სამოცდათოთხმეტი წლის კაცს რომ კუკის ვუწოდებდი, აბსურდულად არ ჟღერდა.

ის მგლოვიარე და, ამავე დროს, დაბნეულ გამომეტყველებას ღებულობდა, თავს მიქნევდა და მპასუხობდა:

– ძალიან ვწუხვარ.

– მეც, კუკი, – ვუპასუხე, თუმცა, მამაჩემი იმ დროს უკვე ასი წლის იქნებოდა და ხანდაზმულთა სახლში მისი შენახვა საკმაოდ დიდ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული.

მოკლედ რომ ვთქვათ, მისი გარდაცვალება გაცილებით ნაკლებად პრობლემატური იყო ჩემთვის, ვიდრე ღირსი ვიტვორთისა.

– და, დედაშენი, ჯიმბო? – არ მეშვებოდა კუკი.

– ჩვიდმეტი წლით მეტი იცოცხლა, – ვუპასუხე მოკლედ და ისეთი ტონით, კაცი იფიქრებდა, ამ ფაქტით გაღიზიანებულიაო, – ბედნიერი წავიდა.

– ძალიან ღირსეული ქალბატონი იყო, – თქვა კუკიმ და ისე დააქნია თავი, თითქო საკუთარ თავს დაეთანხმაო.

მისმა ასეთმა დაინტერესებამ დედაჩემით, შეიძლება ითქვას, გული ამიჩუყა და ისიც მართალია, რომ ნამდვილად ღირსეული ქალი იყო. ყოველ შემთხვევაში, გარე სამყაროსთან ურთიერთობაში. ახალგაზრდობისას, ის საკმაოდ ლამაზი ქალი იყო, ან, როგორც თავად მითხრა ერთხელ, როდესაც მამაჩემი უკვე ცოცხალი აღარ იყო, „არც ისე ლამაზი“.

მამაჩემი რომ გარდაიცვალა, მე და დები იტალიაში ვიყავით. ჩვენი მოგზაურობის მიზანი იყო, გაგვერკვია, შეგვეძლო თუ არა ოჯახის შენარჩუნება. ჩვენთან ერთად კიდევ ერთი, მსგავსი პრობლემის მქონე წყვილი იყო წამოსული, ფლორენციაში, ერთ პატარა სასტუმროში გავჩერდით, საიდანაც მდინარე არნო მოჩანდა. ერთ დღეს, ავტობუსით, ყველანი ერთად ფიეზოლეში წავედით (მისი პატარა რომაული არენა და

პირველი საუკუნის იონური ტაძრის მსგავსად აშენებული ეტრუსკული მუზეუმი დავათვალიერეთ) და უკან რომ ვბრუნდებოდით, გადავწყვიტეთ, საკუთარ ნომრებში დაბრუნების ნაცვლად, სასტუმროს ბოლო სართულზე ავსულიყავით და დაგველია. ბარში, საიდანაც არნოს ერთი პატარა მონაკვეთი მოჩანდა, მხოლოდ რამდენიმე გერმანელი და იტალიელი იჯდა. პირველები ლუდს სვამდნენ, მეორეები – ყავას. ტელეფონის ზარი კი შემომესმა, მაგრამ, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ მე მირეკავდნენ.

– სინიორ უერლი. თქვენ გთხოვენ, – მომესმა უკნიდან ბარმენის ხმა.

ვის უნდა სცოდნოდა, რომელ სასტუმროში გავჩერდი?

დედაჩემი აღმოჩნდა. უცნაურად ჩახლეჩილი და სუსტი ხმა ჰქონდა.

– აქ როგორ მიპოვე?

– ოპერატორები დამეხმარნენ.

– რა ხდება, დედა?

– მამაშენი საავადმყოფოშია. ისევ გულის შეტევა დაემართა.

– მძიმედ არის?

– როგორ გითხრა? ელტონში რომ წავიყვანე, თავისით ჩაჯდა მანქანაში.

– ესე იგი, მძიმედ არ არის.

სანამ პასუხებს გამცემდა, პაუზებს აკეთებდა, რაც ტრანსატლანტიკური კაბელის თავისებურებებს დავაბრალე, ბოლოს მითხრა:

– არა მგონია, ასე კარგად იყოს საქმე.

მხოლოდ ტელეფონით საუბრისას ვამჩნევდი, როგორი მძაფრი პენსილვანიური აქცენტი ჰქონდა დედაჩემს, პირისპირ რომ ვიდექით, მისი საუბარი ისეთივე გამჭვირვალე და ყველანაირი აქცენტისგან თავისუფალი იყო, როგორც ჩემი საკუთარი.

– დილით რომ გაიღვიძა, მკერდის არეში ისევ ისეთი შეგრძნება ჰქონდა. აქამდე ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ დღეს თავად მოინდომა საავადმყოფოში წასვლა, აქ დღის თორმეტი საათია ახლა.

– ესე იგი, გინდა, რომ სასწრაფოდ ჩამოვიდე? – ვუთხარი უკმაყოფილო ტონით, რადგან ვიცოდი, მამაჩემს არ ესიამოვნებოდა, ასე მოულოდნელად რომ დავადგებოდი თავზე. თან, შემდეგი დღისთვის კიდევ ერთი ექსკურსია გვქონდა დაგეგმილი.

დედამ ამოიოხრა. ყურმილში რაღაც ჭრაჭუნის ხმებიც გაისმა.

– ჯიმი, ვშიშობ, რომ მოგიწევს. დებიც წამოიყვანე, თუ, რა თქმა უნდა, დარჩენა და ხელოვნებით ტკბობა არ ურჩევნია. ექიმი შირკი ამბობს, არ მომწონს ეს ამბავიაო და ხომ იცი, როგორი ადამიანია? თუ რაღაცა ასე სერიოზულად აღიქვა, ესე იგი მართლა სერიოზულადაა საქმე.

გულზე ღია ოპერაცია ან ანგიოპლასტიკა იმ დროს არც კი განიხილებოდა. ექიმებს მხოლოდ ის შეეძლოთ, რომ ფონეიდოსკოპით მოესმინათ გულისცემა და პაციენტისთვის ნიტროგლიცერინი გამოეწერათ. რომელ საათზე გადიოდა რომის მატარებელი, კონსიერჟისგან შევიტყვეთ, ჩვენთან ერთად მყოფმა წყვილმა კი ფლორენციის სადგურამდე მიგვაცილა. მედიჩის ეკლესიებიც გავიარეთ, რომელთა ნახვა ჩემი და დების ოცნება იყო და რომლებიც, როგორც განგებამ ინება, ერთად მაინც ვერც ერთხელ ვერ ვნახეთ. რომში რომ ჩავედით, შესაბამისი ავიაკომპანიის ოფისის პოვნაში ტაქსის მძღოლი დაგვეხმარა. არასოდეს დამავიწყდება ის თავაზიანობა, რომლითაც კომპანიის ახალგაზრდა თანამშრომელმა ერთი კვირის შემდგომი რეისისთვის განკუთვნილი ბილეთები ჩაიბარა და ფილადელფიაში მომდევნო დღის რეისის ბილეთებად გადააკეთა. იმ დროს უფრო მეტი რეისი დაფრინავდა და თავისუფალი ადგილებიც გაცილებით მეტი იყო. ლონდონში იმავე საღამოს ჩავფრინდით და აღმოჩნდა, რომ ღამე იქვე უნდა გაგვეტარებინა, ლონდონის გარეთ, ჰითროუს მხარეს, გაცილებით მეტი სასტუმრო აღმოჩნდა ტრანზიტული მგზავრებისთვის, ვიდრე გვეგონა. ნომერში შუაღემეზე შევედით. წამსვე დედაჩემს დაგურეკე (პენსილვანიაში, ამ დროს, უკვე ნაშუადღევი იყო) და გავიგე, რომ მამაჩემი რამდენიმე საათის გარდაცვლილი იყო. დედამ დაწვრილებით მიამბო, როგორ იჯდა ელტონის სააგადმყოფოში და როგორ იღებდა ექიმებისგან მძიმე ინფორმაციას.

– ექიმმა შირკმა მითხრა, რომ ბოლოს ძალიან ბევრი იბრძოლა. ძალიან უსიამოგნო სანახაობა იყოო.

ყურმილი დავკიდე და დებისაც გავუზიარე ცუდი ამბავი. უკვე საწოლში ვიწექით. მან ხელები მომხვია და მითხრა:

– იტირე.

ვიცოდი, რომ საამისოდ ხელსაყრელი მომენტი იყო, მაგრამ, არ მიტირია. როგორც ჩანს, მამაჩემმა მაშინ ჩემი ცრემლებითაც იტირა.